**გაზეთის ფასი**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, აფხაზის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891



ქვრივი ანნა იოსების ასული ბაქრაძისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 10 თებერვალს, დიმიტრი ზაქარიას ძის **ბაქრაძის** გარდაცვალების წლის თავზე გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი მიცვალებულის მოსახსენებლად დიდუბის ეკკლესიაში, დილის 10 საათზე.

(4—4)



## ქართული თეატრი

კვირას, 10 თებერვალს, ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

**ადვოკატი მელაძე**

კომედია 2 მოქმედ.

II

მეოთხე მოქმედება დრამიდამ

**თამარ-ბატონიშვილი**

III

დივერტისმენტი და ლეკური

დასაწყისი 8 საათზე


ტფილისი, 9 თებერვალი

ოთხმოც-და-ათის წლის წინად რუსეთმა შეიძინა ორი ახალი პატარა სახელმწიფო: ერთი იყო სამთავრო ფინლიანდია და მეორე—საქართველო. მას უკან ამ ორის ქვეყნის ბედი სულ სხვა-და-სხვა ნაირად დატრიალდა. საქართველოში იმ თავიდგანვე დამკვიდრდა ისეთი მართვა-გამგეობა, როგორიც რუსეთში არსებობდა, ხოლო ფინლიანდიის საქმე სულ სხვა ნაირად წავიდა. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა, წოდებულმა კურთხეულად, სრული თვით-მართველობა მიანიჭა ფინნებს და მათი ქვეყანა მხოლოდ თავის უმაღლესის მფარველობის ქვეშე მიიღო. იმპერატორმა ალექსანდრემ ისეთი გულ-კეთილობა და სიყვარული გამოიჩინა ფინნებისა, რომ მისმა დიდ-სულოვნობამ ევროპაც-კი გააკვირვა. მაშინ რუსეთი ჯერ ისევ გარემოცული იყო ბატონ-ყმობის ბურუსით, თვით-მართველობის სიკეთე ისე ცხადი არ იყო ყველასათვის, სწავლა-განათლება სულ მცირე იყო და ფინნებს-კი იმპერატორმა ის მიანიჭა, რაც ყველაფერზედ სანუკვარია და ძვირფასი ადამიანისათვის.

ალექსანდრე პირველმა უბოძა ფინნებს ნება კანონ-მდებლობისა თავიანთ ქვეყანაში, გაუჩინა საკუთარი პოლიცია, სასამართლო, ჯარი, საკუთარი ფული. იმპერატორის წყალობით, ფინლიანდია დამოუკიდებელი და ხელ-შეუხებელი დარჩა და აგრეთვე ეკკლესია, სკოლა, შემოსავალ-გასავალი და სხვ. ამას გარდა ფინნებს ჰქონდათ საკუთარი დედა-ქალაქი ჰელსინგფორსი, სახელმწიფო გერბი, განსაკუთრებული საბაჟო საზღვარი და სხვ. ერთის სიტყვით, ფინლიანდია წარმოადგენდა პატარა დამოუკიდებელ სამთავროს, რომელიც თავის თავს თითონ უვლიდა და, როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა მასუკან თავის ცხოვრების ჩარხს.

ფინნების ბედს, უეჭველია, ბევრი მცირე ერი, მოკლებული ასეთს დამოუკიდებლობას, შურით შეჰხედავდა და ინატრებდა თავისთვისაც ყოველსავე იმას, რაც ალექსანდრე კურთხეულმა იმათ მიანიჭა. არც ჩეხებს, არც ირლანდიელებს, რომელნიც აგერ მთელი საუკუნეა ებრძვიან ავსტრი-ვენგრიასა და ინგლისს, ჯერაც ვერ მოუპოვებიათ თვით-მმართველობა. უფრო მით იყო ფინლიანდიის ბედი სასურველი და სანატრელი, რომ გვერდით ჰქონდა მფარველად ძლიერი სახელმწიფო—რუსეთი, რომლის განუშორებელ ნაწილადაც ითვლებოდა. რასაკვირველია, რუსეთი გარეშე მტერს ნებას არ მისცემდა ევნო რამე ფინნებისათვის და მაშასადამე, გარეშე მტრისგან უზრუნველ ყოფილს ფინნებს შეეძლოთ დაუბრკოლებლივ ეშრომელნათ შინ თავიანთ წარმატებისა და კეთილდღეობისთვის.

როგორ მოიხმარეს ფინნებმა ალექსანდრე პირველისაგან მინიჭებული უფლებანი? კარგად გამოიყენეს ასეთი სახეირო მდგომარეობა? რასაკვირველია, მოსალოდნელი იყო, რომ ფინნები რიგიანად გამოიყენებდნენ ასეთს მმართველობას და მართლაც რიგიანად და კეთილად გამოიყენეს.

პატარა ფინლიანდია, სადაც სულ ორ მილიონამდე ხალხია, აჰყვავდა და შეძლებითა და ქონებით დიდად გამდიდრდა. მართალია, ბუნება ამ ქვეყანაში მეტად მკაცრია და სასტიკი, მიწა მწირი, ჰავა სუსხიანი; მართალია, ორი მესამედი ქვეყნისა გაუტეხელ ფიჩხნარსა და ტბებ უჭირავს, მაგრამ მშვიდობიანმა, შრომის მოყვარე და კულტურულმა ერმა დასძლია ბუნების სიმკაცრესა და სიძუნწეს და სალი კლდიანი ქვეყანა წალკოტად გადააქცია. მიუვალ კლდეღრეზედ ფინნები ზურგით ჰზიდავდნენ მიწას და ასეთის დაუღალავის შრომით მოჰყვანდათ მოსავალი. სწავლა-განათლება ხომ ისე მოეფინა მთელს ფინლიანდიას, რომ ერთ კაცსაც ვერ იპოვნით წიგნის უცოდინარს, ქოხს ვერ ჰნახავთ ღარიბის კაცისას, რომ დაბადება და რამდენიმე სხვა სამღვთო წერილის წიგნი არ მოეპოვებოდეს.

მთელი ოთხმოცი წელიწადი ასე მშვიდობით, კეთილად და ბედნიერად მიმდინარეობდა ფინნების ცხოვრება. ფინლიანდიას არავინ აწუხებდა, არავინ არას ედავებოდა და თვითონაც არავის არას ემუქრებოდა. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს შავის ნისლით მოიბურა ამ სამთავროს ცა და არავინ იცის, მალე გადიყრება ბურუსი, თუ შავ ღრუბლად გადიქცევა. ერთი რუსული გაზეთი, სახელდობრ, „Недѣля", ამბობს, რომ ეხლა ფინნები დიდად შეწუხებულნი არიანო. ერის მწუხარებასა და გლოვას საზღვარი არა აქვსო. ფინლიანდიის მკვიდრი ჰგლოვობს თავის ქვეყნის ბედსაო. მაგრამ განა რა მოხდა ისეთი, რა დაემართა ქვეყანას, რომ ძაძით იმოსება?

ის დაემართაო, ამბობს იგივე გაზეთი „Недѣля", რომ რვა იანვარს ფინლიანდიის მოურავმა სეიმმა უნდა განიხილოს წინადადება იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალოს მართვა-გამგეობა სამთავროსი. მოგეხსენებათ, დღეს ის აზრი დატრიალდა, რომ ფინლიანდიაშიაც ისეთივე კანონები ჰმოქმედებდეს, როგორიც ყველგან ჰმოქმედობს საზოგადოდ, ისეთივე წესწყობილება არსებობდეს, როგორიც მთელს იმპერიაში არსებობსო. აი ეს არის მიზეზი, რომ ფინნები ასე გულ-ჩათუთქულები და გულ-დაწყვეტილები არიან, თუმცა-კი ჯერ ნამდვილად და საბოლოვოდ არა არის-რა გადაწყვეტილი.

„მთელი ერიო, ამბობს ერთი ფინლიანდიური გაზეთი, დიდიდგან დაწყებული პატარამდის, გულის ჩქროლვით უყურებს თავის ქვეყნის ეხლანდელს გამწვავებულს ყოფას და გულის ჩქროლვითვე მოელის ხვალინდელს დღესაო".

სამწუხაროა, რასაკვირველია, როდესაც იმპერიის ერთგული და შრომის მოყვარე ერი ასეთ გაჭირებულ მდგომარეობაში ჩავარდება. ფინნები მიეჩვივნენ თვით-მმართველობას და, რაღა გამოცანა უნდა, რომ არ ეამებათ, თუ დაჰკარგეს ის, რასაც თითქმის შეეთვისნენ. ჯერ ცუდს ჩვეულებას ვერ იშლის ერი ადვილად და კარგსა და სახეიროს, დიდის ხნით შეთვისებულს, ხომ უფრო ვერ მიატოვებს ადვილად.

ჩვენ ჩვენის მხრით ვისურვებთ, ფინნებს არ გაუმართლდეთ ის შიში, რომ ვითომც მათს სამშობლოს რაიმე საფრთხე მოელის. მეიძლება საქმე მართლა ისე გამწვავებულიც არ იყოს, როგორც იმათ ჰგონიათ; და მოსალოდნელი ცვლილება შეეხოს მხოლოდ მცირე, უმნიშვნელო წვრილსა და კერძოობასა და არა უმთავრესს სვეტბურჯს ფინლიანდიის ეხლანდელის წეს-წყობილებისას.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** ამას წინად ათინის გაზეთებმა დაიწყეს ლაპარაკი და დიდად აქებდნენ ახალგაზდა კავკასიელს ლაზარე კატანიშვილს, გისტოლოგიისა და ექს-

---

# ფელეტონი

### სურათი

გურულის გლეხის ცხოვრებიდგან.

ხანგრძლივ გოლვიან მაისის დამლევს ხაღამოს ცამ შუბლი შეიჭმუხნა და თითქო ნაცერიყით წვრილი წვიმა წამოუშვა. გოლვისაგან იმედმიხდილმა მუშა ხალხმა გაღეღილი მკერდი ამ გულის გამაგრილებელს ზეციურ მანანას მიუშვირა და ხელ-აპყრობით ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ მან სრულიად აღარ მოიძულა ეს ცოდვილი ქვეყანა. პერანგის ამარა ტიტველიკანა ბიჭებმა კიჟინა დასცეს და ხტომა-თამაშით ქუჩებში გამოცვივდნენ. ჯერ მინდორში კაკალიც არ გავარდნილიყო და სასოწარკვეთილი მუშა ხალხი ცას შესჩერებოდა, აცა, როდის მოიბრუნებს ზეცა მადლის თვალსო, და აი ახლა ყველას იმედი გაუცხოველდა, ყველამ თოხს პირი გაუსინჯა და თესლის მზადებას შეუდგა.

სოფლის ბოლოში, ლამაზად წამოყარდნილს ბრეკზე, უზარმაზარ მუხას გვერდით, თავის ქოხის წინ ჯორკოზე წამომჯდარა ესიკა და სიამოვნებით გადასცქერის მის ქვევით გადაჭიმულს თვალ უწვდომს მინდვრებს.

წვიმა თანდათან მატულობს. შორს, სადღაც, ცის კიდურში უცებ გველივით დაიკლაკნა და უცებვე მიიმალა ელვა. ამას მოჰყვა საშინელი ქუხილი.

— იი, წმინდაო ელიავ, ვენაცვალე შენს მადლს! ძალიან არ მოურახუნა იმ დალოცვილმა!! დიდება მის სახელს, ღმერთი თურმე სულ არ მოიძულებს ქვეყანას! თუ იპრიანა და ორი-სამი დღე ასე იწვიმა, ღვთით სიმშილით აღარ დავიხოცებით. ჰაი, რა ყანა მქონდა შარშან ხავარდიაზე! გავბრიყვდი, ზალიკას რომ გავუზიარე. მაგრამ ეჰ, ცოდვაა მარტო ხელი კაცი! მაშინ ისეთი ხარები მყავდა, რომ კაცს აეის თვალით არ შეეხედებოდა, მაგრამ წაწყდა, ვილაცამ ეს ოხერი მაშინაი მეიგონა! დამლუპა, დაღუპა მისი მომგონი! ერთს დილას საქონელი ქალდამ გამოერეკე და მე ყანაში წაველ თურმე ლილიაზე რომ გადადიოდ, არ-კი მოასწრო იმ შეჩვენებულ მანამ. ერთმა როგორღაც გადაასწროთურმე და მეორე-კი პირდაპირ ლილზე გავარდა, ბოგირთან წამოეწია ერმე ის ნავარი და ზე შუაზე გასტლიცა. მეორე დღეს გვიხმეს ლილიაზე „ჟაროჯნის მასტერმა" და მამასახლისმა. მე ადრევე გამაფრთხილეს: „გაამხილე, რომ შენია, თვარა „შტუს" გადაგახდევინებენო. გამოგვკითხეს, რა რაგა ღმერთი გამიწყრებოდა ღავა გავანცხადებდი, ჩემია-მეთქი. ააიქცა იმათი სამართალი, ოჯახსაქცევენ და შტრაფს გახდევინებენ აეც!! მეორეც იმ სულ წაწყმენდილმა ოჩიკებმა" „ნედრონიკაში" გამიყს და დავრჩი ცარიელ-ტარიელ ე-ეჰ! მაგრამ ღმერთი მოწყალეა! დვა ერთი ბიჭი წამომეზარდოს-და.

მთლად ჩაფიქრდა, მაგრამ ესიკა ამას ვერ ჰგრძნობს. ჰზის იმავ ალაგს და რაღაც ფიქრს გაუტაცნია. ნეტა რას უნდა ჰფიქრობდეს? რას არა ჰფიქრობს გლეხი კაცი?! ჰფიქრობს ის ყანების შესახებ, მამასახლისისა, მწერლისა, გზირებისა, ბატონისა, მღვდლისა და ვინ იცის კიდევ რისას... ხანდახან, როცა ელვა ერთს წამს გამოანათებს, ცხადად შეამჩნევთ ესიკას პირისახეზე ღიმილს. ცხადია, ახლო მომავალს ბედნიერს ცხოვრებაზე თუ ჰფიქრობს. დიახ, აგერ ესიკას საცაა ბიჭი წამოესწრება. მისი ბესოია მეორე წელიწადია, რაც სოფლის სკოლაში დადის და ძალიან კარგადაც სწავლობს. მასწავლებელი მისის ქებით აღარ არის და ძალიანა სწუხს, რომ, სიღარიბის გამო, ბესოიას მშობლებს არ შეუძლიანთ შვილს სწავლა განაგრძობინონ. ესიკა, საზოგადოდ, დიდი წინაალმდეგია, საჭირო არ არის გლეხმა დიდი სწავლა მიიღოსო და „გადასაყარიც რომ მისცა ფულები, მაინც არ შეიყვანს ბესოიას „ღიმლაზიაში", როგორც თითონ ამბობს. ერთი-ორი კლასს მაინც რომ გაათავებინებდე «გოროდის» კლასში, ეს-კი ურიგო არ იქნებაო, ჰფიქრობს ესიკა. მასწავლებელიც მოწადინებულია საშუალება აღმოუჩინოს და როგორმე ბესოიას სწავლა გააგრძობინოს. თუ აუსრულდა ნატვრა და ერთი ორი კლასი მაინც გაათავა მისმა ბესოიამ, მერე რაღა უჭირს ესიკას?!.. დადგება ბესოია სოფლის მწერლად და თითო კალმის მოსობაში ხომ მრგვალ-მრგვალ აბაზიანებს აჰკრავს...

— კაცო, ლამაზაი [1]) რომ არ მოსულა, აფერს ჩივი?

ესიკას არ ესმის. ის ისე გაუტაცნია ოცნებას, რომ ყურთანაც რომ დაუყვირო, მგონი ვერ გაიგონოს. მოსაწყვად პირისაკენ წაღებული ჩიბუხი შუა გზაზე გასჩერებია და შიგ ცეცხლი ჩაჰქრობია. თვალები ერთის ადგილისათვის მიუშტერებია და ამ მდგომარეობაში თითქო გაქვავებულაო.

— აი დაგაყრუოს ჩემმა სასო ღვთისმშობელმა, არ გესმის, კაცო!

— აა, რაო?

— რა და ძროხა არ მოსულა მეთქი, არ გეყურება?

[1]) ლამაზაი ძროხის სახელია.

პერიმენტალურ პათოლოგიის პრივატ-დოცენტს ათინის უნივერსიტეტში. ეს ლაზარე პავლეს ძე კატანიშვილი წალკელ ბერძენთა მღვდლის შვილია. ოთხი კლასი ტფილისის სასულიერო სემინარიაში შეასრულა 1882 წ., შემდეგ, მეორე წელსვე გიმნაზიაში გადავიდა და კურსის დასრულების ეგზამენი დაიჭირა და იმავ წელსვე კიევის წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტში შევიდა სამკურნალო ფაკულტეტზედ. როცა ამ უნივერსიტეტში არეულობა მოხდა (1884 წ.), კატანიშვილი ათინის უნივერსიტეტში გადავიდა, 1890 წ. ზაფხულში მშვენივრად დაიჭირა ეგზამენი, მედიცინის დოქტორის ხარისხი მიიღო და სამკურნალო ფაკულტეტმაც თავის მხრივ მოწონების ფურცელი მიუბოძა. ამას წინად კატანიშვილმა რუსულიდგან ახალ-ბერძნულს ენაზედ გადასთარგმნა „მიკრობიოლოგია“ რუსეთის სამკურნალო-სადოსტაქრო აკადემიის პროფესორის მ. ი. აფანასიევისა. ამ ნათარგმნს დიდად აქებენ ბერძნული გაზეთები.

*** ბათუმი: ამ ერთის კვირის წინად კარგი დარები და საშინელი ნიაღვრები ერთი-ერთმანეთს ხშირად მოსდევდა ხოლმე. მერე-კი დაუბერა ქარმა და თოვლი წამოვიდა. წვიმების დროს ქუჩებში ისეთი ტბები იდგა, რომ კაცი ფეხით ისე ვერ გაივლიდა, მუხლებამდის წყალში არ შეეტოპნა. ზოგ-ზოგ ქუჩებში-კი სიარული სულ არ შეიძლებოდა.

*** ოზურგეთი: მაზრის უფროსის თანაშემწე, ბ-ნი ი. კალანდარაშვილი, გადაყვანილ იქმნა სენაკის მაზრის უფროსის თანაშემწედ. მის მაგიერ დაინიშნა ბ-ნი ლაზარენკო, სენაკის მაზრის უფროსის თანაშემწე, წინად ჩვენში სამაზრო გამგეობის მდივნად ნამყოფი.

*** იქიდამვე: სცენის მოყვარულთა მიერ ამას წინად აქ გამართულ წარმოდგენიდამ დ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ ექვს თუმნამდე ნაღდი ფული უნდა შემოსულიყო, მაგრამ, როგორც ამბობენ, ბილეთები ნისიად დაურიგებიათ და ჯერ-ჯერობით ეს ფული არ არის შეკრებილიო.

*** ახალ-სენაკი: ჩვენში ძლივს მოვიდა თოვლი და ლამ-ლამობით სიცივეებიც დაიჭირა. ზოგიერთ სოფელში სხვა-და-სხვა მოარულმა ავადმყოფობამ იჩინა თავი. სოფელ ნატოჩაოში ყვავილი და წითელა გაჩნდა. სიმინდის ფასმა ახალ-სენაკში ცოტაოდნად იმატა. თებერვლის პირველიდგან ფუთი სიმინდი, ახალ-სენაკში მოტანილი ღირს, 56—58 კაპ. იანვარში 50 კაპ. იყიდებოდა.

*** სოფ. ხაშმი (ტფილისის მაზრა): თუმცა ჩვენს სოფელში სკოლა არსებობს, მაგრამ ნასამღვდელიც არ ჰყოფნის ეს ერთი სკოლა სოფელს. მსურველნი სწავლისა ბევრნი არიან და ალაგი-კი სკოლაში ძალიან ნაკლებად არის. ამ გაჭირებაში სოფელს ერთი კარგი საქმე მოუვიდა: იოანე-ნათლის მცემლის მონასტერში არხიმანდრიტ მაკარის თაოსნობით გაიმართა სამონასტრო სკოლა. ამ სკოლაში ჯერ-ჯერობით ოცის ყმაწვილისათვის არის დამზადებული ალაგი და სასწავლო ნივთები. მასწავლებლად, ეგზარხოსის ნება-რთვით, განწესებულია ს. ხელხუცაშვილისა. ეს სკოლა ზემოხსენებულის მონასტრის ხარჯით არის დაარსებული. ამბობენ, რომ ხაშმის მღვდელსაც უნდა დაარსოს სამრევლო სკოლა ხაშმელებისათვისაო.

*** მეჯრუხეთი (გორის მაზრა): როგორც ბევრგან სხვაგანაც ქართლში, ისე ჩვენშიაც ქურდობა არ არის იშვიათი. იშვიათი-კი არა, ამ ბოლოს ხანებში ხშირიც არის. იმისი შიში დარიდი ვილეს აქვს, რომ ამ სოფელშივე სცხოვრობენ თვით ბოქაული, ორი მამასახლისი და ათიც გზირ-ნაცვალი. ამას გარდა სოფელში დაყენებულია ლამის დარაჯები. ახლა-ხანს თვით ერთ-ერთს მამასახლისსაც-კი გაუტეხეს ქურდებმა სახლი, თუმცა ჩხაზე ჩამოკიდებულ ვაშლის აკიდოების მეტი ვერა წაიღეს-რა. აქვე გასტეხეს დიაშვილის საწვრილმანო დუქანი. სოფელი ძალიან სწუხს, რა ღვთის რისხვაა, რომ ქათმებსაც-კი იპარავენ, ის წყეულ-შეჩვენებულებიო. საქმე იქამდე მივიდა, რომ სოფელმა დააწესა, თუ ვინიცობაა მოვასწარით ვისმე ქურდობაზედ, დანაკარგიც გადავახდევინოთ და სხვაფრივაც ვაზარალოთო: რამდენიმე კაცი და თვით დამკარგველიც ჩავუყენოთ სახლში და რამდენამე ხანსა ჰკვებოსო. ცხადია, ქურდები თვევ შინაურები ყოფილან, რაკი სოფლელებმა ასეთის წესის შემოღება მოინდომეს. გარდა ამისა, ამას წინად ვწუხდით, რომ ლამის დარაჯები შუა სოფელში დარაჯობენ მარტო და მიყრუებულს, განაპირა ალაგებში კი არაო. ამიტომაც ყველა ზემოხსენებული ქურდობა სულ მიყრუებულს და განაპირა ალაგებში მოხდა.

*** იქიდამვე: აქ გაჩნდა რაღაც საქონლის ავადმყოფობა, რომელსაც მცხოვრებლები „ჭეჭინას“ ეძახიან. ზოგი-კი ამბობს, ჭირიაო.

*** გაზ. „Нов. Обоз.“-ია ამბობს, რომ ამას წინად ბრიუსელიდგან აღმოსავლეთისკენ წასულს ჰერცოგს ორლეანისას განზრახვა აქვს უკან დაბრუნებისას ჰნახოს იმიერ-კასპიის მხარე და ამიერ კავკასია და ტფილისშიაც რამდენსამე დღეს დარჩესო.

*** იმავ გაზეთს აუწყებენ, რომ კავკავიდგან პეტროვსკამდე რკ-ნის გზის გაყვანის საქმე უკვე გადაწყვეტილია მთავრობის მიერ და მუშაობას მომავალ გაზაფხულზედ შეუდგებიანო.

## სახელდახელო

(„სახელდახელოს“ კორრესპონდენციები)

გორი. იყო და არა იყო-რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, ამ რამდენისამე წლის წინად გორში ეგრეთ წოდებული „დამხმარებელი საზოგადოება“ იყო, რომელსაც დუქანი ჰქონდა, წესდება ჰქონდა და წევრები ჰყავდა. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ამ წუთისოფლის ამაოება და უკულმართობა! ცოტა ხანს შემდეგ ამ უბედურს ვარსკვლავზე დაბადებულს საზოგადოებას ისე ამოხდა სული, რომ საზოგადოებისა და ქვეყნისათვის სარგებელი არა მოუტანია-რა, პირ-იქით, ვნება და ზარალი მოჰყვა იმის უდღეურობას. რა იყო მიზეზი საზოგადოების გაუქმებისა? ისა, რომ დუქანი გაუკოტრდა, წესდება დაირღვა და წევრები ჩამოეცალა. კარგი იყო, რომ ამით გათავებულიყო საქმე და ათას გვარი უსიამოვნო და სამწუხარო შედეგი არა მოჰყოლოდა ამ უამისოდაც უსიამოვნოსა და სამწუხარო ამბავს. გორს წინადაც არ ჰქონია „დამხმარებელი და დამშველებელი საზოგადოება“, მაგრამ მაინც გორობდა და კვლავაც ისე იგორებდა იმისი საქმე... დიაღ, გორს არაფერი არ გაუჭირდებოდა უამსაზოგადოებოდ და ეხლა-კი, სიმართლე უნდა მოგახსენოთ, უჭირს და ძალიანაც უჭირს. ის თითო-ოროლა ინტელიგენტნი და მეთაური კაცები, რომელნიც გორის სახელსა და სიქადულს უნდა შეადგენდნენ, იმ ბედკრულისა და ბედ უკულმართის საზოგადოების დაარსებაში ერივნენ, შემდეგ გაუქმებაშიც მიიღეს მონაწილეობა და დღეს მათ შორის დიდი შუღლი და დავიდარაბაა ატეხილი. ებრძვიან ერთმანეთს „ივერიის“ ველზე კალმითა და მელნით აღჭურვილნი, ებრძვიან და ერთმანეთს გასძახიან: დაარსება ამ საზოგადოებისა ჩემი ბრალი იყო, ხოლო გაუქმების მიზეზი შენა ხარო. სამწუხარო ისაა, რომ ყველა, ვისაც ამ ბრძოლაში მონაწილეობა აქვს მიღებული, კარგი კალმოსანია და ამან უფრო გაამწვავა და გაახურა ეს ორ-გოროშიანი ომი. ერთმანეთს არაფერს უთმობენ, ერთმანეთისას არაფერს იჯერებენ... არავინ იცის, რით მოეღება ბოლო ამ უსაქმო საქმის გამო ბრძოლას, არავინ იცის, რომელი მხარე უწინ დაჰყრის თოფ იარაღს და მიატოვებს ბრძოლის ველს. ყოველს შემთხვევაში ამ წესიერთა მიერ უწესოდ ატეხილმა ალიაქოთმა ჩვენ დიდად შეგვაწუხა და დაგვაღონა. რა იქნებოდა ერთი მიბძანეთ, რომ იმათი ლიტერატურული ნიჭი, პუბლიცისტიკური ძალ-ღონე და პოლემიკური უნარი ამ მკვდარსა და ჩაფუშულს საქმეზე არ დახარჯულიყო, არამედ რომელსამე ცოცხალსა და მკვიდრს საქმეს მოხმარებოდა!.. ვხედავთ რა ყოველსავე ამას, ვხედავთ, რომ „მარილი“ ამა ქვეყნისა რაღაც უმარილოსა და დამპალს აბდა-ბუდაზე იხარჯება, გული გვიკვდება, სული გვეხუთება და სასოწარკვეთილებას ვეძლევით, რადგანაც ვიცით, რომ

წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს,
გაჰკვეთს, ანუ გაამსივნებს.

ქუთაისი. ტქვენი მტერი დაღონდეს და შეწუხდეს ისე, როგორც ჩვენ დაგვაღონა და შეგვაწუხა „ივერიის“ მე-29 №-ში დაბეჭდილმა ამბავმა, რომ მთავრობას განუზრახავს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შესახებ ცნობა შეჰკრიბოს, თუ ვინ მათგანი ოდესმე სისხლის სამართალსა და პასუხის-გებაში ყოფილა და ან ეხლა არის, რათა ამ გვარს წევრებს თავად-აზნაურთა კრებაზე არჩევანებსა და საქმის განხილვა-გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღების უფლება ჩამოერთვასო... თუ ამ გვარი განკარგულება ჩვენშიაც მოხდა, დაეილუპებით, ამოვარდებით და ის იქნება. არა გვგონია, რომ ასეთის წესით მოწვეულს თავად-აზნაურთა კრებაზე ჩვენში ერთიც არის დაესწროს ან თავადი, ან აზნაური. მაგრამ ყველა უსიამოვნო საქმეს თავისი სასიამოვნო მხარეცა აქვს და ეს გვანუგეშებს ამ უნუგეშობის დროს. არავითარი უწესოება, არავითარი დავიდარაბა ამ გვარად შედგენილს კრებაზე აღარ მოხდება, რადგანაც სისხლის სამართალში მიცემულ წევრთა კრებიდამ დათხოვნით სისხლის ღვრა და ალიაქოთი აგვშორდება თავიდამ და ამიტომაც ახლო მომავალში ბრალდებულთა და დანაშაულთა რიცხვიც თანდათან შემცირდება ჩვენში..

სხვა რა მოგწეროთ? მოუთმენლად მოველით აქაურის საავადმყოფოს ექიმთა დაბრუნებას ბერლინიდამ. მოუთმენლად ველით, რომ ჩქარა მოგვივა უკვდავების წყარო და მით აღარ ვიქნებით ტფილისზე უკან ჩამორჩენილნი. მაგრამ უბედურება ისაა, რომ კოხის ლიმფა ხორციელს სიქლექეს არჩენს და არა სულიერსა და გონებრივს. ჩვენ-კი, გულ-ახდით უნდა მოგახსენოთ, ამ მხრით გვეჭირვება წამლობა. ჩვენს ბაზარზე ჟურნალი არ მოიძებნება და გაზეთი. ცამეტს თვეში ერთხელ „ცდა“ გამოდიოდა, მაგრამ, ეგონებოთ, „ცდასაც“ ამაოდ ჩაუარა ცდამ და სრულიად არ გაამართლა ის თქმულება, რომ „ცდა ბედის მონახევრეა“-ო. აგერ ცამეტი თვეც გადის, „ცდა“-კი მოსცდა და აღარ გამოდის.

ფოთი. ძალიან ახირებული საქმე დაგვემართა ფოთელებს. ამ ჩვენს ქალაქს მაინც ამ ბოლო ხანებში და-

---

— ძროხააა? მერე სა ჯანაბაში უნდა იყოს, ი მგელის არჩივი!

— ქვას შენი ენა! მერე და მართლა რომ ახდეს, ჯვარი აქანაი, რაღა გვეშველება? ისე ასვრილია ნადირი, რომ ამეღამ თუ კარში დარჩა, კაი მაინც არ დაემართება. გუშლამ ანტონაის მოზვერი შეუჭამია, იმ დაწყევლილს. შეჰყევი ერთი ღელის, იქნება ნახო.

ესიკამ ჩიბუხი გაიწყო, კერიდგან მუგუზალი აიღო და ღელისკენ გასწია.

— ჩემი ნენაი [2]), ერთი ნადირის პირის შესაკრავი ვილოცოთ! შეეხვეწა რძალი დედამთილს.

— შევულოცოთ, შვილო, შევულოცოთ! აბა, მაკრატელი და თაფლის სანთელი მომიტანე.

ბესოიას, რომელიც აქამდის თავის პატარა ძუძუ-მწოვარა ძმას აქცევდა, მოაგონდა მასწავლებლის სიტყვები და ბებიას უთხრა:

— ბები, ამას წინად „უჩიტელმა“ გვითხრა: „სოფელში რომ სხვა-და-სხვა ნაირი შელოცვა იციან, სულ ტყუილიაო“. თქვენ რომ აქ მაკრატელზე ილოცოთ, არ მესმის, ნადირს პირი როგორ უნდა შეეკრას?!

— რაო, „უჩიტელმა“ გითხრააა! რა იცის ბებია „უჩიტელმა“. ის რუსულად გამოზრდილი კაცია და ჩვენებური ადათი საიდგან ეცოდინება. მე ეს გაამოცდილებით ვიცი. ვინ იცის რამდენი სული საქონელი დამიხსნია მგლის ბასრის კბილებისაგან!.. ერთი ტიგურაი მოზვერი გვყავდა... კაი ხნის ამბავია, შვილო, მამაშენი მაშინ ასე შენი ტოლა იქნებოდა... რას ვამბობდი?.. ხო, ტიგურაი მოზვერი გვყავდა. ერთ საღამოს საქონელს გაბნეოდა თურმე და შინ აღარ დაბრუნებულა. მევიკითხეთ მეზობლებში, მარა ვერსა ვერ ვნახეთ. ცხონებულმა ბაბუაშენმა მხარზე მაჭახელი გადეიდო და საძებრად წევიდა. დიდხანს ეძება და ბოლოს ზალიკაის უკან რომ ღარდაია [3]), იქ ენახა. თხმელასთან უკანა ფეხებზე მგელი დაცუცქებულიყო და ცეცხლივით თვალებს უბრიალებდა ჩვენს ტიგურას. საწყალი ტიგურაი იმ დაწყევლილს თურმე ერთს ადგილას გეეშეშებია, ენებით-კი ვეფერი ეენო. ბაბუაშენმა გადმეიღო მაჭახელი, სტკუცა შუბლში ტყვია და ქერხოსავით გადააგორა. მოზვერი შინ მოდენა. ამ ხნის ქალი ვარ და ჩემს სიცოცხლეში იმხელა მგელი არ მინახავს. მეორე დღეს სამმა ყაძახმა ძლივს მოათრია... ახლა შენ მითხარი, მე რომ ნადირის პირის შესაკრავი არ მელოცა და პირი მართლაც რომ შეკრული არ ჰქონდა იმ დაწყევლილს, ისე დაგვიტოვებდა ტიგურას?

ისე მტკიცედ დასახუთა ბებერმა თავის ლოცვის სიმძლავრე, რომ ბესოიამ პასუხი ვეღარ გასცა.

ამასობაში ბესოიას დედამ თაფლის სანთელი და მაკრატელი მოსძებნა და დედამთილს მიუტანა.

ბებერმა მაკრატელი მუხლზე დაიდო და დაიწყო ბუტბუტი:

ბჭენია, ბჭენია,
ბჭენს ხატი სვენება..
ასი ხატი, ასი ჯვარი
გარეთ შემოსვენება.
მეუფეო, ჩამოყარე
ხიბოჯგალა რკინისა,
ნადირს პირი შეუკარი,
მეკობრესა ხელი-მხარი.
ჩააგდე ზღვაში,
ნუ გაუშვებ გზაში.

— ღმერთო მოწყალეო, შენ შეუკარი ნადირს პირი და ჩვენი ლამაზაი შინ მშვიდობით მოგვიბრუნე! გაიმეორეს ყველამ.

ბებერმა თაფლის სანთელი ჯვარედინად გააკეთა და პირ-შეკრულს მაკრატელზე დააწება. ვითომ რაო-და, სანამ მაკრატელი თაფლის სანთლით ასე პირ-შეკრული იქნება, მანამ ნადირიც პირ-შეკრული დარჩებაო.

გაათავა ბებერმა ლოცვა და ლოგინში შეწვა. რძალმა საბავეთე აანთო, დგიმ-სავარცხელი მოაწყო და დარაიის ქსოვა დაიწყო. ბესოიაც დედას გვერდით მოუჯდა და სამღვთო სჯულის სახელმძღვანელოში ხმა-მაღლა დაიწყო კითხვა ქრისტეს წამების, დასაფლავებისა და მისის აღდგომის ამბისა.

გაათავა ბესოიამაც კითხვა და ბებიას საფერხელს მოუწვა. სუყველას სძინავს. ბებერი ხმა-მაღლა ხვრინავს. სძინავს აკვანში პატარა ეკასაც. ხანდახან ოდნავ გაღებულს ტუჩებზედ ყმაწვილს ზეციური ღიმილი შეუთამაშებს ხოლმე. ალბად საამურ სიზმარს თუ ჰხედავს პაწია. უთუოდ თავის ფუნჩულა თითებს დედის ძუძუებზე უცაცუნებს და „აღუს“ ეუბნება. არა სძინავს მხოლოდ ბესოიას დედას, მარდად უგდებს ქსელში მაქოს და თან ძილის გასაფრთხობად ნაზის, წყნარის ხმით ღიღინებს:

„ძილო, ნუ დამეძინები, მე საზრდლოსაო,
ქმარს პერანგი არ მიცვია, მე საზრდლოსაო,
მოკუსტავ და შევუკერავ, იმ საზრდლოსაო“.

თვალში თითს ვერ იკრავო, რომ იტყვიან, სწორედ ისეთი ბნელი, უკმეხი ღამეა. წვიმამ ესიკას მუგუზალი დაუქრო და საწყალი ხან აქ ჩაეცემა და ხან იქ... „მოო, ლამაზა, მოო!“ გაიძახის ხევში ესიკა, მაგრამ ბღავილის ნაცვლად მთების ყრუ გამოძახილი მოესმის. საშინელი ტაროსია... წვიმა კოკისპირულად ასხამს, ნიაღვრები შუილ-ქუხილით მოღელავს მთებიდგან და

[2]) ჩემი ნენაი—ჩემო დედავ!

[3]) ღარდაი—ხრამი.

ეკვება ასეთი საქმეები. ჯერ იყო და იმდენ ხანს აშენეს აქ ნავთ-სადგური, იმდენი შრომა და ჯაფა ნახეს, იმდენი ხარჯი და ზარალი გასწიეს და ბოლოს ყოველივე ეს ფუჭი შეიქმნა. ნავთსადგური ისე მაინც ვერ განავთსადგურდა, როგორც სასურველი იყო და რამდენადაც იმის აშენებაზე დახარჯულს ძალ-ღონეს შეეფერებოდა, ამ ნაირად ავაგეთ ნავთსადგური და უნავთ-სადგუროდ-კი დავრჩით... წელს იყო და თქვენც-კი მოგეხსენებათ, თუ როგორ ვემზადებოდით ქალაქის თავის არჩევისთვის, რა აზრები და სურვილი გვინდოდა გაგვეხორციელებინა, მაგრამ უბედურებას არც ამ შემთხვევაში აგვშორდა შეეკრიბენით ხმოსნები, ვითათბირეთ, ვიბაასეთ, ვიკვლიეთ, ვიძიეთ, ვჰყარეთ კენჭი, ამოვირჩიეთ ქალაქის თავი და უთაობა მაინც არ აგვცდა, მაინც უთაოდ დავრჩით. ამბობენ, რომ ჩვენ მიერ ქალაქის თავად არჩეულის არჩევას კანონი არ შეიწყნარებს, რადგანაც მას თავისი ხმა სხვისთვის ჰქონდა მინდობილიო. სწორედ სახტადა ვართ დარჩენილი: ვერ გაგვიგია და ვერ გამოგვირკვევია აქ ხმას რა ხელი აქვს, როცა თავობისა და თავის გამო არის ლაპარაკი. ნუ თუ ამ კაცმა, როცა თავისი ხმა სხვას მიანდო, თავიც ხმას გააყოლა! ეგ რა საფიქრებელია, რომ ასე მომხდარიყოს. მაშასადამე, ეგონებთ, ტყუილ-უბრალოდ ლაპარაკობენ და მიედმოედებიან ისინი, ვინც ამბობენ, რომ ეს არჩევანი უკანონოაო. ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ვინც თავად ავირჩიეთ, იმას თავისი თავი არავისთვის არ მიუნდვია და ისევ იმასვე [illegible] ერთის სიტყვით, ვისაც ფოთში შფოთისა და დავიდარაბის ატეხა არ უნდა, ეს არჩევანი უნდა შეიწყნარონ, თორემ ვაფრთხილებთ, რომ ამაოდ დაეშვრებიან და დაიღლებიან, ჩვენ ჩვენსას გავიტანთ.

დათიკო ვერმიცანაშვილი

## წვრილი ამბები

გერმანიის იმპერატორს თავის ნაპროფესორალის განცპერერის თანამშრომლობით განზრახვა აქვს თავის პაპის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ორ-ტომიანი თხზულება დასწეროს, რომელიც ას ცალად დაიბეჭდება და მხოლოდ ხელმწიფეთა, ქვეყნის მპყრობელთა და გერმანიის წარჩინებულ გვართ გაეგზავნება.

— ისპანიის მთავრობამ გადასწყვიტა 12 სექტემბერს მომავალის წლისა, როცა 400 წელიწადი შესრულდება მას აქედ, რაც ქრისტეფორე კოლუმბმა ამერიკა იპოვა, გამართოს საარხეოლოგიო და საისტორიო გამოფენა ამერიკის ძველის დროების შესახებ.

— ლონდონში გაიმართა ახალი საოპერო თეატრი, რომელიც სულ რკინითა და ცეცხლ-მოუკიდებელი მასალიდან აგებულ-აშენებული. ამ თეატრში მახლობლის მდინარიდამ სახურავის გასწვრივ მილით წყალის გაყვანილი და ისეა მოწყობილი, რომ როცა საჭიროა, თეატრში გააწვიმებენ. თეატრში 2,000 კაცის ალაგია და 2,500 ელექტრონის ლამპარით არის განათებული. დეკორაციის გამოცვლა და მოწყობა საგანგებოდ გაკეთებულის მანქანის შემწეობით სულ ადვილად და მასთან ძალიან ჩქარა სწარმოებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს თეატრი ასე საუცხოვოდ არის მორთულ-მოკაზმული, ადგილების ფასები დაკლებულია.

— ინგლისში ამას წინად ერთი მილიონის პატრონი, ჰენრი მიურადი, გარდაიცვალა, რომელმაც თავისის ქონების დიდი ნაწილი დედათა ინსტიტუტის ასაგებად დასტოვა. ამ ქველ-მოქმედს კაცს თავისს ანდერძში ის სურვილი გამოუთქვამს, რომ მომავალს ინსტიტუტში სპეციალურად ასწავლიდნენ ქალებს ქიმოზას, ქიმიას, ფიზიკას, ბიოლოგიას და სხვა მეცნიერებასაო.

— სტოკჰოლმში ამ ხანად ერთი საუცხოვო ამბავი მოხდა. ერთს მოწმენდილსა და მოკაშკაშებულს ღამეს, როცა არე-მარე სასტიკის ყინვით იყო გარემოცული, ერთს დარბაზში ქალნი და კაცნი შეკრებილიყვნენ და ცეკვაობდნენ. გახურდა ცეკვა და არა ნაკლებად გახურდა დარბაზში ჰაერი. დაცხა... ნაზის გულის პატრონ მანდილოსანთ გული შეუღონდათ. უნდოდათ ფანჯრები გაეღოთ, მაგრამ ისეთ ნაირად გაყინულიყო, რომ ეს ვერ მოახერხეს. მეტი ღონე არ იყო, მინები გამოამტვრიეს, სუ-ლი მოიბრუნეს და ხელ-ახლად გააჩაღეს ცეკვა. ამოსასუნთქავის ორთქლით გამსებულს დარბაზის ჰაერს გარედგან ცივი ჰაერი მოხვდა და მოდუღებულთა განსაცვიფრებლად დარბაზში გათოვდა.

## გასართობი

„Matin“-ში დაბეჭდილია ორლეან ბოლლის წერილი მექანდარე მე მილლეს შესახებ და ამ წერილში სხვათა შორის შემდეგი ანეგდოტია მოთხრობილი: მილლე ხშირად დადიოდა თურმე ლიტერატორთა და არტისტთა, ესრედ წოდებულ „Divan Lepelletier“-ის კლუბში და აქ არა იშვიათად შეხვდებოდა თავისს მეგობარს, რომანების მწერალს დიუპლერის, რომელიც გაზ. „Patrie“-ში ფელეტონებსა სწერდა. ერთხელ, როცა ამ გაზეთში დაიწყეს ბეჭდვა დიუპლესის ახალის რომანისა, მილლე კლუბში ჩვეულებრივზედ ადრე მოვიდა და დაინახა თუ არა კლუბშივე მომავალი რომანების მწერალი, იმას მიაშურა.

— რა მოხდაო, ჰკითხა მწერალმა.

— ერთი რამ უნდა ამიხსნა! უპასუხა მილლემ: მამა ჩემი შენს რომანსა კითხულობს დიდის გულ-დადებითა და გულის-ყურით. გუშინ შენი რომანი იმითი დაბოლოვდა, რომ გრაფის მეუღლე თავისს მოსისხლე მტრებს ჩაუვარდა ხელში. მოჰკლავენ, თუ არა?

— მოჰკლავენ, კორსიკელი აფთიანი გაუპობს გულს ხანჯლით.

მილლეს ეს ამბავი ისე ეწყინა, რომ სიმწვავით სტოლს დაჰკრა მაგრად მუშტი:

— ბედი არა მაქვს, ბედი!

— შენ რა მერე, არ მესმის? ჰკითხა დიუპლესმა.

— რალა რა, მამაჩემი დამენაძლია, რომ გრაფის მეუღლეს მოჰკლავენო, და მე კი ვამბობდი, რომ არა, გადარჩება-მეთქი, რადგან მეგონა, რომ ეს ქალი კიდევ დაგჭირდებოდა რომანის განსაგრძობად.

— დიდია სანაძლეო?

— ათი თუმანი!

— დასწყევლოს ღმერთმა, ეგ ძალიან ბევრია. დიუპლესმა ამოიღო საათი და სთქვა: ეხლა 9 საათია. ჯერ კიდევ დრო მაქვს სტამბაში წავსვლისა. ეტლს დავიქირავებ და გრაფის მეუღლეს გადავარჩენ როგორმე.

— მართლა? სიხარულითა ჰკითხა ალელვებულმა მილლემ. დიუპლესმა ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— მაგისთანა მცირე საქმე დამავალო მეგობარმა და არ აგისრულოო. სთქვა ესა და წავიდა, რომ გრაფის მეუღლე სიკვდილს გადაერჩინებინა და მეგობრისთვის სანაძლეო მოეგებინებინა.

**

აწინდელის რუსეთის იმპერატორის პაპას, ალექსანდრე I-ს, სხვათა შორის ერთი ფრიად გონება-ჩლუნგი ჯარის უფროსიცა ჰყავდა, გვარად ბაშუცკი. მთელი სასახლე ის იყო სადღესასწაულო სადილს მოუხდა და ბაშუცკი-კი ფანჯარასთან იდგა, რომ დალევენ თუ არა ხელმწიფის სადღეგრძელოს, ვანიშნო და ზარბაზნები გაისროლონ ციხიდგანაო. ფეხზედვე ტრიალებდა და სარისტას აძლევდა გოფმარშალი ნარიშკინი. ამაყად და მედიდურად, თავ მომწონედ მდგარი ბაშუცკი რომ დაინახა, ნარიშკინი მივიდა და ჰკითხა:

— ყოველთვის მაკვირვებს და მაოცებს ის გარემოება, რომ ზარბაზნებს სწორედ დროზედ ისვრიან და ერთს წუთსაც არ გადააცილებენ ხოლმე. როგორ ახერხებთ ამ საქმესაო?

— მაგაზედ ადვილი რა არისო, უპასუხა ბაშუცკიმ: დაჰლევენ თუ არა სადღეგრძელოს, ფანჯარასთან მდგარი ხელსახოცს ავიქნევ და ვანიშნებ, აი ასეო!

აიქნია ხელსახოცი და სწორედ ამ დროს ზარბაზნებმაც მოიღო გრიალი, რამაც ძალიან გააოცა სუფრად მსხდომნი, რადგან ჯერ წვნიანიც არ გაეთავებინათ. ყველაზედ სასაცილო-კი ის იყო, თვით ბაშუცკიც გაოცებული იყო, ვერ გაეგო, ასეთი ამბავი როგორ მოხდაო, და გადასწყვიტა, რომ სადილს შემდეგ გამოვიძიებ ამ საქმეს და სასტიკად დავსჯი დამნაშავეებსაო.

**

როცა ხოსრო-მირზა პეტერბურგში იყო, სადილზედ იმის შესახებ ჩამოვარდათ ლაპარაკი, რომ რუსი ჯარის-კაცი ძალიან გონიერიაო, ყოველ გვარს ენაზედ ნათქვამს სიტყვებს ადვილად მიხვდება ხოლმე და პასუხს აძლევსო.

— ვცადოთ, სთქვა ხელმწიფემ: აბა დაუძახეთ რომელიმე დარაჯი.

შემოვიდა საყუნის სიმაღლე გვარდიელი.

— აბა ჰკითხეთ რამეო, სთხოვა ხელმწიფემ ხოსრო-მირზას.

ხოსრო-მირზამ რაღაც ჩაიკლურტულა სპარსულად, ჯერ მაღლა აიწოდა ხელი და მერე დაბლა.

— მიხვდიო? ჰკითხა ხელმწიფემ.

— მივხვდი, თქვენო უდიდებულესობავ.

— მაშ აბა პასუხი მიეციო.

ჯარის-კაცმაც ჯერ მაღლა აიწოდა ხელი, მერე დაბლა დაიწოდა და შემდეგ ისე მიიქნიმოიქნია, თითქოს ყავასა ჰნაყავდესო...

— კმარა, კმარაო! დაიძახა ხოსრო-მირზამ: საკვირველად, საოცრად მიხვდა! მე ვუთხარი, რომ ღმერთმა გააჩინა ცა და დედამიწამეთქი, მაგან შეავსო ეს აზრი და დასძინა, რომ ცაც, დედამიწაც და ყველაფერიც, რაც გარს გვახვევიაო.

— შენ რაღა უპასუხეო, ჰკითხა ხელმწიფემ ჯარის-კაცს:

— მაგან მიბრძანეს, რომ ჩვენში ჩხუბის დროს ჯერ კისერში მიადებენ, მერე მუცელში ამოჰკრავენო, მე-კი ვუთხარი: ეგ რა არის, აქ კისერშიაც ვიცით ცემა, მუცელშიაც, და მერე დოგუშსაც გავმართავთ, ყველგან დავუშენთ მუშტებს-მეთქი.

## წერილები რედაქციის მიმართ

I

ბ-ნ ჭიჭინაძისა არ იყოს, მეც დიდად გამაკვირვა ბ-ნ დისამიძის წერილმა, ამ წლის „ივერიის“ მე-26 №-ში დაბეჭდილმა, სადაც ამბობს, რომ ფურცელაძეს მიყვდი ფული „მიმომხილვის“ რედაქციაში შეატანად და არ შეიტანაო. გამაკვირვა მით უფრო, რომ ამ ერთის თვის წინად, რაკი მესმოდა ამბავი, რომ დისამიძე აგროვებს ასეთს ხმებსა, შევხვდი იმას „წერა-კითხვის საზოგადოების“ კონცერტში და მოვაგონე, რომ ეს ფული მე მქონდა მიღებული, მევე ჩავაბარე რედაქციაში და ფულის ბარათიც მევე მოგიტანე-მეთქი *). როგორც მახსოვს, მოცემული იყო მარტო 50 მანეთი, რვა მანეთი რადის შემოიტანა, არ მახსოვს, შეიძლება შემდეგ შემოიტანა და ბარათიც ერთად მიეცით **).

რაც შეეხება ფულის მიუღებლობას, ძალიან ვწუხვარ, რომ ბ-ნი დისამიძე კითხულობს ამ ფულს ასე გვიან—ათის წლის უკან. რაკი რედაქციას ჩემთვის ეს ფული არ დაუბრუნებია და ამასთან, რაკი დისამიძეს ჩემთვის არ მოუმართნია, დარწმუნებული ვიყავ, დისამიძემ მიიღო რედაქციიდგან, ან სხვაფრივ იქმნა დაკმაყოფილებული რედაქციის მხრივ-მეთქი, თორემ, დარწმუნებული ბრძანდებოდეს, თუ სხვებს გავუსწორდით, არც მაგას ვეტყოდით უარს. ვიმეორებ, გაზეთით მოთხოვნას, ერთხელაც არის რომ გაეხსენებინა ჩემთვის, მე ჩემს თავს ნებას არ მივცემდი, რომ კაცს, რომელმაც პატივი მცა და ჩემის თხოვნით გაიღო ფული, დაჰკარგოდა ეს ფული.

რა წამს მიბოძებს ჩვენგან მიღებულს ფულის ბარათს, მაშინვე მიიღებს თავის ფულს.

მარიამ ჯერეჯულიძისა

*) მე ვიყავი რწმუნებული რედაქციისა და მეგზავნებოდა იქიდგან ბარათები ხელ-მოწერილი სხვა-და-სხვა თანამშრომელთაგან, უფრო ფურცელაძისაგან, რომელიც ერთი უმთავრეს თანამშრომელთაგანი იყო ამ ჟურნალისა; ზოგი ხელ-მოუწერელიც მომდიოდა და მე ვაწერდი ხელს.

**) ბ-ნ დისამიძეს უნდა ახსოვდეს, რომ იმ დროს, როდესაც მე შევხვდი ქუჩაზედ და ფული გამოვართვი, მაშინ, სხვათა შორის, ფურცელაძეც იქ იყო. ის იყო გზად მიდიოდა სამსახურის გამო და სადღაც მაზრაში აპირებდა წასვლას. მე იმ დღეებში მივდიოდი ტფილისს და წავიღე თან ეს ფული, რომელიც ჩავაბარე რედაქციაში, რაც მტკიცდება ანთ. ჯ—ს სიებითაც, რომლებიც უპოვნია ჭიჭინაძეს. სხვა ფული პირად მე არა ჩამიბარებია-რა.

მ.

---

თან მოაგორებს ვეებერთელა ლოდებსა და ხეებს; ქვენა ქარი ზუის და გაჰკივის ხევში... ტურა-მგელი სოროებში მიმალულა და ცხვირი კარში ვერ გამოუყვია. ესიკასათვის ქარს ჩაბალახი მოუტაცნია და წვერსა და თმებზე წყალი ნაკადულივით ჩამოსდის. რა ჰქნას საწყალმა? ლამაზას ის ალარ დაეძებს და უნდა შინ დაბრუნდეს, მაგრამ ძალიან შორს შეუტოპავს და გზა ველარ გაუგნია! შინ საწყალს მის ცოლს გული ეთუთქება და ჰფიქრობს: „რა ღმერთი გამიწყრა, რავა გავაგდე ყაძახი ამისთანა უბედურ ავდარში გარეთ ძროხის საძებრად“-ო. რამდენჯერაც ქარი კარებს დააჭრიალებს, ან მეხი დაიჭექებს, საბრალოს ხელში მაქვა უჩერდება, შეშფოთებით წამოიძახებს: „წმინდა არს, წმინდა არს!“, პირჯვარს გადაიწერს და ეშმაკს შეაფურთხებს.

ელვა-ჭექა მატულობს. ტყეში ხეებს ლაწა-ლუწი გააქვთ. სუყველა შეძრწუნებულია და უთრთის ასეთ ავდარს. არ უფრთხის მხოლოდ მას დიდი მუხა. მისთვის ასეთი ავდარი ახალი ამბავი არ არის. ვინ იცის, რამდენს ელვა-ჭექას უქუხნია იმის თავზე, რამდენს ქარტეხილს გადაუვლია იმის წვეროზე, მაგრამ მისთვის ბეწვიც ვერ შეუხრია!! ახლაც სდგას იგი შეუშფოთრად, დინჯად და უკანასკნელ ფოთლის რხევამდე სინიდისს არ ულალატებს და თავის მეზობელ ალვისხეობას, რომელიც ხან იქით გადაჰყვება ქარს, ხან აქეთ, არასოდეს არ იკადრებს. რაც უნდა დაემართოს, წელზე ფეხს მაინც არ დააბიჯებინებს მტერს.

სდგას შეუპოვრად და ერთგულ დარაჯსავით დასცქერის თავს ესიკას პაწია ქოხს.

მუხის გულ-გრილობამ თითქო ელვა-ჭექა მოთმინებიდგან გამოიყვანაო, იელა, წამოვიდა საშინელის ქუხილით პირდაპირ იმისაკენ და ხეტყვასავით წამოუშინა. ისეთი საშინელი ჭექაქუხილი ასტყდა, რომ კაცს ეგონებოდა, რაც ჯოჯოხეთში მავნე სული იყო, ყველა ზევით მუხის ძირიანად ამოსაფხვრელად ამოცვენილა და ცეცხლის ისრებს ესვრიანო.

ქოხში სუყველას გამოუღვიძნიათ. გაუღვიძნია პატარა ვაჟიკაც და, რაც შეუძლია, წივის და აკვანში ხელ-ფეხს აფხარკალებს, მაგრამ მისთვის ვისა სცალიან?! კერაში ცეცხლი ჩაუქრიათ, ხატის წინ დაუჩოქნიათ და მშვიდობით გადარჩენას მხურვალედ ღმერთს ევედრებიან.

ჯავრისაგან გაალმასებულმა ელვა-ჭექამ, ამდენ ხანს რომ მუხას ვერაფერი დააკლო, ბოლოს თითქო მთელი თავისი ძალ-ღონე მოიკრიფა და საშინელი მეხი დაჰკრა. ამას-კი ველარ გაუძლო მუხამ, ერთი დაიწრიალა და შუაზე გადასქდა. ქოხიდგან ერთი საშინელი კივილი მოისმა და მაწრაფლ ყოველივე მიდუმდა. მუხის გადმონახეთქს მოჰყვა ქოხი და ნაფოტებად იქცა.

გათენებამ მოაწია. ამოწუმპულ-ამოლაშტულმა ესიკამ გზას გაიგნო და შინისაკენ გამოსწია.

ახლა ალარ ახსოვს იმ ღამინდელი გამოვლილი განსაცდელი, ახლა მხოლოდ თავის ცოლ-შვილის ამბის უცოდინარობა აწუხებს. „ნეტავი რა ამბავია ახლა შინ“, ჰფიქრობს იესიკა: „მრთელი გუშინდელი დღე მხარი როგორღაც კაის არ მეუბნებოდა“... უბედურს ესიკას ტანმა უგრძნო, ყურები საშინლად უწიოდა, თავზე თითქოს ათასი ყვავი და კაჭკაჭი დასჩხავისო!..

მიფლარტუნებს საწყალი, მაგრამ ფეხები უჩერდება, თვალებზე ნისლი ეფარება... მიუახლოვდა თავის ნაქოხარს, მაგრამ ვერ შეამჩნია-კი, მიდის წინ გონება-არეული, თვალ-ახვეულსავით. მაგრამ აი, ნაგზურზე მუხის გადმონახეთქს დაეჯახა... ესიკა გამოერკვა. „ნეტა ეს სადა ვარ? განა ეს ჩემი ეზო არაა?.. ეს მუხაც ხომ ჩვენია. დიახ, ჩვენია, მეხს გადმოუსტკვლეცია, მარა სახლი სადღაა?!“

დაინახა ქოხის ნამსხვრევებიც.

— ვაიმე, ცოლო და შვილო!.. სასოწარკვეთილებით იტაცა ესიკამ თმაში ხელი და ამ მდგომარეობაში, თითქოს გაქვავდაო, მეტი კრინტიც ალარ დაუძრავს.

—

— გამარჯობა, გოგიავ!

— ღმერთმა დათიას გაუმარჯოს.

დიდება მის სახელს, მოგვხედა ღმერთმა, მეინათლა ქვეყანა.

— სწორედ სულზედ მოსწრება იყო. ძალიან არ დაუშვა!.. მგონი ერთ თითესაც რომ არ იწვიმოს, ალაფერი გვეჭირს.

— ამ ხელა კაცი გევიზარდე და ამისთანა ავდარს არ მოესწრებივარ. რა ჭექა-ქუხილი იყო!.. მგონი დიდ მუხას დაეცა მეხი.

— მგონია. აგერ ჩემის როხილაის [4]) სანახავად მიველ, წყალს თუ არ წაურთმევია, იმასაკ ენახავ.

— მშვიდობით!

— ღმერთმა მშვიდობით გამყოფოს!..

გამოემშვიდობნენ ერთმანეთს გლეხები და თავიანთ გზას გაუდგნენ. მიუახლოვდა გოგია მუხას და იმის თვალებს საშინელი სურათი წარმოუდგა, საბრალომ ცრემლები ველარ შეიმაგრა და კარგა ხანს აფრქვია მდუღარება. ბოლოს დააპირა საწყალი ესიკა ენუგეშებინა, მაგრამ ასეთი საშინელ უბედურების მოწმეს განა პირში ენა მოუტრიალდება სანუგეშოდ?!.

იასონ ნიკოლაიშვილი

[4]) როხილაი—პატარა გლახა წისქვილია

II

ამ წლის „ივერიის“ მე-29 №-ში დაბეჭდილმა ზ. ჭიჭინაძის წერილმა უნებლიედ გამახსენა ერთი შემთხვევა, რომელიც იმავე გარდაცვალებულ ჟურნალ „მიმოხილვის“ ბედს ეკუთვნის. იმ წელიწადს, როდესაც ტფილისის ახალგაზდობამ განიზრახა ახალის ქართულ ჟურნალ „მიმოხილვის“ გამოცემა, მე გორის საოსტატო სემინარიაში ვსწავლობდი. როგორც უოველ ამ გვარ საქმეში, ისე „მიმოხილვის“ დაბადების დღეს და მის დავაჟკაცებასაც გორის ახალგაზდობა მოუთმენლად ელოდებოდა და უოვლის ღონისძიებით სცდილობდა რითიმე დახმარებოდა. ამ აზრით იმ წლის იანვარში, როდესაც მთელი გორი და მისი გარშემო არე-მარე გაყინული იყო და სიცივით ვკანკალებდით, გავმართეთ ქართული წარმოდგენა გორში და ამ წარმოდგენიდგან დარჩენილი ფული, აღარ მახსოვს კარგად, ვგონებ 28, თუ 30 მ., გავგზავნეთ ბ-ნ ან. ჯუღელის სახელზედ, რომელიც მაშინ ქართულ წიგნის მაღაზიაში ბრძანდებოდა, და ვსთხოვეთ გარდაეცა ეს ფული ზემოხსენებულ ჟურნალ „მიმოხილვის“ რედაქციისათვის. ჩვენდა საუბედუროდ, ჟურნალ „მიმოხილვა“ დაბადების უმალვე გარდაიცვალა და ჩვენ მიერ გაგზანილი ფულიც ვგონებ ზედ დააკვდა.

რამდენისამე ხნის შემდეგ ჩვენ მოვითხოვეთ ამ ფულების დაბრუნება მაშინდელ გაზეთ „დროების“ შემწეობით. წერილზედ ხელი მოწერილი გვქონდა: მე, ვლ. აღნიაშვილს, ს. მათიკაშვილს, ალ. ნათაძეს, მ. კერესელიძისას და სხ.

ზემორე აღნიშნულნი კაცნი ტფილისში იმყოფებიან და, იმედი მაქვს, ჩემს სიტყვებს დაემოწმებიან, განსაკუთრებით ალექსანდრე ნათაძე, რომელმაც გააგზავნა ეს ფული და „დროებაში“ დაბეჭდილი წერილიც შეადგინა და მოგვაწერინა უველას ხელი. შემდეგში კიდევ ვითხოვეთ ეს ფულები თუ ბეჭდვით და თუ კერძოდ, მაგრამ მეტი თქვენი მტერი არაა, იმ ფულების ჩვენ ვერა გავიგეთ-რა: მიწამ ჩაყლაპა, ცამ, თუ უფრო კერძო კაცის მსუნაგმა ჯიბემ—არ ვიცით.

დღეს ზ. ჭიჭინაძის წერილით ვტყობულობთ, რომ ამ ჟურნალის შესახებ მიღებული ფულები ჩაწერილი ყოფილა რაღაც სიაში, რომელიც გარდაეცა ბ-ნ ან. ფურცელაძისათვის. ვთხოვთ ბ-ნ ფურცელაძეს და ჭიჭინაძესაც გვაცნობონ, ეგებ ჩვენის ფულის მიღებაც ეწეროს იმ სანატრელ სიაში, და თუ ღმერთმა ინებოს და აღმოჩნდეს სადმე ჩაწერილი, ან მოიძებნოს ეს ფულები, გთხოვთ გარდასცეთ განსვენებულ ბაქრაძის ფონდის შესამატებლად, რომელზედაც, დარწმუნებული ვარ, ჩემი ზემორე აღნიშნული ამხანაგებიც დამეთანხმებიან.

თეოფ. ხუსკივაძე

# დღეში

9 თებერვალი

**პეტერბურგი.** უმაღლესად დამტკიცებულია გარდაწყვეტილება უწმინდესის სინოდისა, რომ ეროვნულ განყოფილების უმფროსნი დამტკიცებულ იქმნან სამაზრო საბჭოს წევრებათ საეკკლესიო-სამრეველო სკოლათა საქმის განხილვაში რწმუნებულს მათდამი განყოფილებაში.

ხელმწიფე იმპერატორმა ნება დართო, რომ დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ მიიღოს წოდება ვლადიმირ-ვოლინსკის მართლმადიდებელთა ძმობის მფარველისა.

**კოლომბო.** მემკვიდრე ცესარევიჩი დაბრუნდა კოლომბოში, სადაც ორ დღე-ღამეს დაჰყოფს დიდ მთავრებთ ალექსანდრე და სერგეი მიხაილის ძეებთან და შემდეგ გაემგზავრება აღმოსავლეთისაკენ. ათინისა და ონუის რუსის ელჩნი, რომელნიც მემკვიდრე ცესარევიჩს ახლდნენ, გუშინ პეტერბურგს გაემგზავრნენ.

**ბელგრადი.** სკუპჩინის მიერ ბიუდჟეტის შემცირების გამო გრუიჩის სამინისტრომ დათხოვნის ქაღალდი შეიტანა. ამბობენ, რომ ახალი კაბინეტი პაშიჩის მიერ იქნება შედგენილი.

**ლონდონი.** ქალაქი თოქარი, რომელიც სუაკიმის სამხრეთისაკენ არის, ხელ-ახლა დაიმორჩილა ეგვიპტელთა მთავრობამ. ბუენოს-აიერესს ჯარმა ალყა შემოარტყა, რადგანაც შიში აქვთ, რომ ხელ-ახლა აჯანყება არ მოხდეს.

**პეტერბურგის ბირჟა, 8 თებერვალი**

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 6 85 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | 137 | 136½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 06 | 1 08 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 226¼ | — „ | — „ |
| —მეორისა | 226¼ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | 212¼ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე**

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (უველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და უირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა უოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჯადაზე გემები.


# განცხადებანი

**ახალგაზდა კაცი**

ეძებს გაკვეთილს ფრანგულის ენისას იცის ქართული და რუსული ენაც.

ადრესი: შუაბაზარი, კათოლიკეთა ქუჩა, № 23.

(3—3)

დაიბეჭდება და ისყიდება „წერა-კითხვის“ მაღაზიაში, „ქართველთა ამხანაგობისა“ და ზაქ. ჭიჭინაძის მაღაზიაში

ახალი წიგნი

**ქართველი ქალები**

ისტორიული მიმოხილვა

თხზ. დიმ. ბაქრაძისა.

ფასი 10 კაპ.

(3—3)

მხოლოდ ამ ფაბრიკის მარკით არის ნამდვილი

Huste-Nicht

Gerichtl. geschützt

**„ნუ ახველებ“**

თაფლ-ბალახიანი მალც ექსტრაქტი და კამფეტები

ლ. ჰ. პიტშისა და ამხ. ბრესლავლს.

ქიმიურის ანალიზითა და სმკურნალო გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ უოველს შემთხვევაში ამ წამლებში არეული არ არის არც ერთი მავნებელი ნივთიერება ადამიანის ჯან-მრთელობისათვის, და კიდეც ამიტომ მისი რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება დართულია.

ფასი: ბოთლი ჰლირს 1 მან. 25 კაპ. და 2 მ. 40 კაპ. კანფეტები 30 და 50 კაპ.

გაგზავნა და შეხვევა ცალკე უნდა იანგარიშებოდეს.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის არის

**ვ. აყურიხთან**

ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18/19.

ისყიდება რუსეთის უველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.

(16—13)

ეს განცხადება დაბეჭდილია მთავრობის მოამბის მე-191 №-ში.

**გამოვიდა და ისყიდება**

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

**გორკილი**

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

**ლექსიკონი**

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რუსული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

კერძო ექიმი

**პრეობრაჟენსკი**

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ურუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს უოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ.

(10—4)

**საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა**

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენმა“ 1890 წელს საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

ურბენი (L'URBAINE)

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს ვადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, გრაფის ქუჩაზედ, თ. ჰავჰავაძის სახლში, „სევერნი ნომრების“ გვერდით.

წესდება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(20—1)

ამხანაგობა სარპინკის კეთების მრეწველთა სარატოვში.

1891 წლის სეზონი.

გვაქვს ახლად-ახალი, მშვენიერი სახიანი ნაქსოვი, ესრედ წოდებული

**ს ა რ პ ი ნ კ ა,**

ვყიდით ნარდად და წვრილ-წვრილადაც რუსეთის უველა ქალაქში გაგზავნით.

სარპინკას ნიმუშებს დავუგზავნით 15 ნოემბრიდგან უველას, ვინც 42 კაპეიკს გამოგვიგზავნის ალბომისას.

ფასები და პირობანი ალბომშია მოხსენებული. მიწერ-მოწერა რუსულს ენაზედ შეიძლება.

10—10

**„დასავლეთი“**

ახალი რესტორანი, ვერაზე, მზუბრწუთოვის სახლებში, ფოსტის სადგომის გვერდით.

რესტორანის სადგომი ახლად შეკეთებულია და თბილი. საჭმელები ევროპიული და ჩვენებური; საუკეთესო ბუფეტია. სასმელები ევროპიული და ჩვენებური.

სადილები დღიურად და თთვიურად შეიძლება თვითონ რესტორანში მიიღონ ან ბინაზე, შინ სახლში, წაიღონ. რესტორანში ცალკე ოთახებიცაა, მშვენიერად მორთული და მოწყობილი.

ფასები უველაფრისა იაფია.

თავმდები ვართ, რომ ხორაგეული სუფთაა და ბუფეტი უნაკლული.

ნ. ჩიკვაიძე და ს. მელიძგაური

(40—17)


Тифлисъ, Доз. цен. 9-го Февраля 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Мелик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.